წელიწადი 1-ლი — ტელეფონი № 76. — ხუთშაბათი 18 მაისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურათ . . . 1 მან. და 50 კ.

ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.

ფული შეუძლიანთ ნაჯილნაჯილად გადმოიგზავნოთ: ხელის მოწერის [illegible] 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. [illegible]

ადგილობრივ ფასი:
პირველ გვერდზე 1 [illegible]
ბოლო . . . 20 კ.
უკანა ბოლო გვერდზე [illegible] კ.
ბ-ლან გარეგან მიღებული განცხადება ღირს ერთი ფერი ორათ [illegible]

[illegible]

[illegible] 5 მ.

[illegible]

[illegible]

[illegible]

რია, მიუცილებელია, სრულიად საქართველოს ეროვნული კრების მოწვევა, რომელიც მთელი ერის განსახიერება იქნება.

მედგარი.

ქართული პრესა.

მიწის კითხვა რუსეთში, კერძოდ კი ჩვენში მომენტის ალფად და ომეგად იქცა. ჩვენი ფედერალისტები კვლავ გაგრძელებენ უტოპიური გზით სიარულს, ხოლო ის კი დავიწყნიათ, რომ natura non fecit saltum.

„სახალხო ფურცელი“ ეხება რა ამ კითხვას, ასე დასკვნის თავის მეთაურს, რომელიც მიწის სოციალიზაციისა და ფონტის ყრილობაზე გამოტანილ რეზოლუციაზე ლაპარაკობს:

„სოც. ფედერალისტთა კონფერენციამ და კავკასიის ჯარის 1,600-მა წარმომადგენლებმა ერთხანად გამოაცხადა მიწის სოციალიზაციის აუცილებლობა და ამსაზრად ნაბიჯი—კიდადგა მიწის მუშაკის საკეთილდღეოთ. ჩვენ ვერ დავგმაუოფველდებთ მხოლოდ რეზოლუციას კამატენინი. რეზოლუცია უნდა კეკანალდოთ“.

ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ რაკი ჩვენი მესსიები—ფედერალისტები—მიწის სოციალიზაციის უნიადაგო პრინციპს განაღდებას უპირებენ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვსთქვათ, რომ წაიდენ ამ პრინციპით ქართველ გლეხთან და შესაფერ პასუხს მხოლოდ იქ მიიღებენ.

———

ივ. გომაოთელი თავის წერილში „ტერიტორიალური ავტონომი და ქართველი ქალი“ (იხ. ხალხის თავისუფლება № 12) სწერს:

ჩვენი ხალხი საერთოდ პატივისცემით ეპყრობა ქალს; ამის მოწმეა მთელი ჩვენი ისტორია და ჩვენი ენა.

სიტყვათა შემდეგი წყობა: და-ძმა, დედ-მამა ცოლ-ქმარი, ქალ-ვაჟი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ისტორიულს პატივის ცემას ქალისადმი“.

ავტორის აზრით ქალი მამაკაცს უფლებრივად სავსებით უნდა გაუთანასწორდეს. აღნიშნავს რა, რომ ასეთი თანასწორობა არ არსებობს დღეს ევროპაში და არც დემოკრატიულ რუსეთში იქნება, რადგან ბურჟუაზია, რომელიც რუსეთის რესპუბლიკაში მარცვა-გამგეობას სათავეში ჩაუდგება, სრულ გათანასწორებას უარყოფს, ავტორი განაგრძობს:

„ქართველმა ერმა თუ ტერიტორიალური ავტონომია არ მიიღო, ქალების მდგომარეობა ჩვენში საერთო კანონების ჩარჩოში იქნება ჩაყენებული რესპუბლიკის მთავრობა ხომ ცალკე კანონებს არ გამოსცემს ქართველი ქალებისთვის.

სულ სხვა სახეს მიიღებს ქალების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თუ ჩვენ ტერიტორიალური ავტონომია მოვიპოვეთ... რადგან დემოკრატია ჩვენში საკმაოდ ძლიერია... ავტონომიურ საქართველოში ქვეყნის მართვა-გამგეობა გადავა დემოკრატიის ხელში.

დემოკრატიის უმთავრესი ნაწილი ჩვენში სოციალისტურია.

ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებაში უმეტესობა სოციალისტები იქნებიან. სოციალისტები კი ქალთა სრული თანასწორობის მომხრენი არიან.

ამიტომ ავტონომიურ საქართველოში ჩვენი ქალები გაცილებით უფრო ადვილად მოიპოვებენ სრულ თავისუფლებას და თანასწორობას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდა და ჩვენ კი ტერიტოლიარული ავტონომია არ მივიღეთ“.

რუსული პრესა.

„უტრო როსს“. სეპარატიულ ზავის შესახებ.

„ამს წინად სახ. სათათბიროს ერთ სხდომაზე ბრალმდებლები შეეხენ იმ საფრთხეს, რომელს წარმოშობდ შეუძლიან ჩვენის მხრით სამხედრო მოქმედების შეწყვეტს.

ამ ჟამად დასავლეთის აქსარეზით ჩვენი მოკავშირენი მტერს შეტევას აწარმოებენ და გერმანელთ თან და თან აკავრობენ. მხოლოდ ჩვენ შეგვქონო უტოპიური რწმენა და კარზე მომდგარ მხვედ მიდგომ მტერს დამმობილებით (братаніе) ვუპირებთ მორგებას... ჩვენი გეტაცვნ უსაზღვროა და, სამწუხაროდ, ამ დროს ვერ გამჩნევთ, თუ რა საშინელებას და კატასტროფას უმზადებს რუსეთს ცხოვრებას ჩვენი გულუბრყვილო ბაგეპისტთა ქადაგი. რუსეთში ფეხს იდგამს სეპარატიული ზავის სურვილი. სეპარატიული ზავი რუსეთის დაღუპვას ნ მოასწავებს თქვენ იკითხავთ, როგორ? აი, როგორ: გერმანეთი ზავს შეგრავს ჩვენთან და შერე ვეგბარძნებს შენი ფაქტორი დასავლეთის მოკავშირეებს მიუსიკო. ჩვენ ინულებელი ვიქნებთ ასეც მოვიქეცთ. სეპარატიულ ზავის შემდეგ რუსეთი ოსმალეთის ბედში ჩაკრდება, რომელიც გერმანეთის სიჯიგნეგ ახალშენს წარმოადგენს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოგითხოვთ სეპარატიულ ზავს, ხოდი თუ ჩვენი მოკავშირეები დათანხმდენ ბრუსასთან ცალკე ზავის ჩამოდებას, მაშინ ჩვენ გერმანეთი მოგვსპობს

გერმანეთის კულტურა ბუმბერაზ რუსეთს გეშრიალ გერძად კიანდის. ეს უნდა გაგოოვალისწინოთ ყველამ და ამის უნდ ვებრძოლოთ სრულის შეეხებით.

რეაქციონერ რუსეთს სჯერთ თავის დამოკრატიულ მოკავშირეებთან შეგრეულ კავშირის დაგვა. ყველამ უნდ აწამოს, რომ რუსეთს მსოფლიო ქარგეგზდიდან სასურველად გამოსვლა, მხოლოდ გერმანეთზე გამარგვეგბით შეუძლიანო“.

ომისა და ზავის გარშემო.

გაზ. „უტრო როს“-ში პროფ. პ. მიგულინი „ომის და ზავი“-ს კითხვაზე სწერს: „რუსეთში ყოველ ვვარად ეცადენ, თავიდან აეშორებინათ ომი. ეკსმეფეს ნიკოლოზ მეორეს ომი არ უნდოდა და ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ მეფის მთავრობის მუდამ დათმობის ბზაზე დგომა. ბოსნიაჰერცოგოვინის ანექსიაზე უთანხმოების თავიდან ასაცდენთა, რუსეთს ბრაც არ ამოუღია. 19 ივლისს ჩვენ მხოლოდ უკიდურეს იძულებით ჩავერიეთ მსოფლიო-ომში. ომის პირველ ხანებში ჩვენი საქმე ჩინებულად მიდიოდა. რუსეთ ჯარი შეუდარებელ მამაკობით იბრძოდა. მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე და ლაშქარშიც გაჰქრა ენტუზიაზმი, სამშობლოსთვის თავის განწირვა. დღეს ყველას პირზე აკერია ზავი, ყველა გაიძახის საზარელ ომს ბოლო უნდა მოუღოთო. იმას კი არ აკითხავენ, თუ რა იყო ამ ომის მიზანი და რისთვის დაიღვარა ესოდენი სისხლი. მართალია, რუსეთი გაროსარჩლა სერბეთს, მაგრამ ამას გარდა მას საკუთარი ინტერესიც ჰქონდა, რომელ ინტერესს, თუ არ განვაზორციელებთ ომი წაგებულად ჩაითვლება. ხალხის გულის გეტეხვა და მავნე პსიხოლოგის შექმნა გამოწვეულია იმ კატასტროფებითა რომელებიც ჩვენ გავიცადეთ დღიდან ომის გამოცხადებისა. ‘ოლდაურთან დამარცხება კენიგს ბერგის უმბედურება, ავგუოგოს ტყის მიტოვება, კარპატების თავგადასავალი და სუხომლინოვი, მიასოედოვ—შტოურმერ—შიგლოვიტოოთა ფინანსიური კრიზიზი და ჩვენგან განთავისუფლებულმა.

ბულგარეთმა ზუგრი შემოგვაქცია და უანნად მახვილი ჩაგვკა აი, ის მწარე მოვლენები, რომელთაც ხალხს გული გაუტეხეს და ერთად-ერთ მხსნელ საშველებად მხოლოდ ზავი დაუსახეს.

რუსეთმა დაღვარა ზღვა სისხლი, ომის წარმოებაში გადატაკდა და დღეს რომ თავის ზე—მიზანს მიაღწია ეს ჩვენი პოლიტიკური მკვლელობა იქნება. ჩვენ არცერთი იმპერიალისტურ მისწრაფება არა გვქონია და არცა გვაქვს.

ეხლა, რომ სტამბოლს და დარდანელს ვთხოულობთ, ეს სრულებითაც არ არის იმპერიალიზმი, არამედ ჩვენი სახელმწიფური ინტერესების სამართლიანი დაკმაყოფილებაა. ვინ არ იცის, რომ ჩვენ ოსმალეთთან სადავო არაფერი გვქონდა. 1914 წ. ოტომანთა იმპერიას სრული გარანტია მიეცათ, რომ მის სახელმწიფურ სხეულს არავინ შეხებოდა, მაგრამ ნეატრალობა გაიძვერა ლდა დაარღვია და ეგვიპტეს და კავკასის დაპყრობა მოიწადინა. ამაზე მეტი იმპერიალისტობა შეიძლება? ამის გამო რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა რეაზე ოსმალეთის თვით-არსებობის კითხვა დასვეს. მაშინ ჩვენ მოკავშირეთ

საქმიროა აგენტები.

მიაკითხეთ „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

ბთან შევთანხმდით და სრუტეები კონსტანტინეს ქალაქით ჩვენ მოგვეცეს. დღეს გამომდგარან ჩვენი „პაციპიტები“ და იძახიან: „არ გვინდა სტამბოლი არ გვინდა სრუტეები!, ეს იმპერიალიზმია საჭიროდ ზავიო!“ თითქოს ჩვენ ვი ნეე სრუტეებს გვაძლევდეს.

ჩვენს ინტერესებს თვითონვე ვიწინდავთ და ვის რა ენაღვლება. ზავი ყველას სურს, მაგრამ ზავშიც გარჩევა უნდა იყოს, არავის ინტერესები არ

უნდა იქნეს შელახული, თორემ ზავი ვერ იქნება მტკიცე.

რუსეთის შეგნებული დემოკრატია მოვალეა ახლავე შეუდგეს ყალბ შეხედულობის გაფანტვას და რუსეთს ისეთი ზავი მოუპოვოს, რომელიც არ დაამცირებს მის თავ მოყვარეობას და გაღეგბულ დიდ მსხვერპლს ტყვილად არ ჩაუტარებს.“

რევოლუციის ამბები

ბ. დ. ს.

დეპეშები

მეორე არმიის დეტაჩმენტს ერიდობა.

პეტროგრადი. 9 მაისი. ოფიციალიანური ლობას დაესწრენ ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს: რუსეთის რევოლუცია კაცობრობას დიდ სიკეთეს პირდება.

ნიკოლოზ რომანოვის რეჟიმის დამსხვრევა წინამორბედია ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის ფარფაშობის აღსასრულისა. მოკავშირენი დარწმუნებულნი არიან, რომ მამაცობით განთქმული რუსის ჯარი განაგრძობს მოკავშირეებთან წმინდა კავშირს. თანასწორი ხელ ჩაკიდებული ბრძოლით მიაღწევენ საპატიო საერთაშორისო სამართლიანობაზე დამყარებულ ზავს. მოკავშირენი სიხარული ეგებებიან რუსეთის ჯარის უფლებით აღტაცებას. მოკავშირენი ყოველ ვვარად მხარს და უეჭერენ რუსეთის რევოლუციის მომწიფებას და დემოკრატიულ მმართველობის დამყარებას.

მსოფლიო ომი

დეპეშები.

დასავლეთის აქსარეზი

პარიზი. 14 მაისი. ოფიციალი. ვერმანელების თავდასხმა მოვიგერიეთ. კალიფორნის მთიანს ადგილებში მეორეასა და გორონილის სამხრეთით მდებარე ადგილებში, ხდებოდა ფრიად გაძლიერებული საარტილერიო სროლა.

ლონდონი. 14 მაისი. ოფიციალი. სენკანტენის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მოვახდენეთ მტერზე თავდასხმები, რომლის დროსაც მოვკალითან რამდენიმე გერმანელი; ტყვედ წამოვიყვანეთ 18 კაცი; ჩვენ დავკარეთ 2 ჯარის კაცი, ლოოსის მიდამოებში მტერმა გააძლიერა საარტილერიო სროლა. საარტილერიო სროლა გრძელდებოდა აგრეთვე მდ. სკარპის სამხრეთით მდებარე ადგილებში.

ლონდონი, 11 მაისი. ბრიტანეთის ტრანსპორტი „ტრანსილვანია“ ხმელთა შუაზღვაში დაღუპეს. დაიღუპა 19 აფიცერი და 373 ჯარის კაცი. შემადგენლობიდან გემის უფროსი, ოფიცერი და 9 მატროსი.

იტალეთის აპსარეზი.

რომი., 11 მაისი. ოფიციალი. იტალეთის მესამე არმიამ კარსოზე კოსტანიეიცის ახლო გაარღვია მტრის ხაზი და შეიჭრა ბოსკოვალლონი, ლიკატონი; დაიკავა აგრეთვე ჯალიანო და სხვა მნიშვნელოვანი სიმაგრეები. წამოვიყვანეთ 900 ტყვე, რომელთა შორის 300 ოფიცერია.

რომი. 13 მაისი. იტალეთის გენერალი კადორნა ამ თვეში ძალით კარსოს ეკვეთა. ბრძოლა გრძელდება. გუშინ ჩვენმა ჯარმა მტრის მაგარი ხაზი გაარღვია, დაატყვევა 3500 კაცი და თან ბევრი სამხედრო მასალა წამოიღო. დავიჭირეთ სამღელე ფლენდერისა და მედეკოს შუა. მედგარი იერიშით ავიღეთ მტრის საველე სიმაგრენი კოსტანიეიცის გარშემო. აგრეთვე წავიწიეთ სხვა ნაწილებშიაც და რამოდენიმე კონტრ-იერიშით მტერს უკან დავახვევინეთ. 11 მაისიდან ტყვეთა რიცხვი უდრის 22,419 ამათში 487 ოფიცერია.

რომი. 14 მაისი. ოფიციალი. ჩვენ გავფართოვეთ ჩვენი პოზიციები. მონფალკოს რკინის გზის ხაზით ჩვენ წინ წავიწიეთ. სანჯიოვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით დავიკავეთ მტრის მიერ გამაგრებული 145 მაღლობი. ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ 612 ტყ. მათ შორის 34 ოფიცერი ხელთ ვიგდეთ ბატარეები საველე არტილერიისა. დავიკავეთ დასავლეთი ნაწილი სოფ. კონსტანვეიცისა. წამოვიყვანეთ 438 ტყვე. მათ შორის 10 ოფიცერი.

მფრინავთა მოქმედება.

პარიზი 14 მაისი, ოფიციალი. ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო გერმანელების 4 აეროპლანი. ღამით ჩვენმა საჰაერო ესკადრამ ჩამოაგდო, 3,300 კილოგრამი ამფოქმებელი ნივთიერება, რომელიც ცეცხლი გამოიწვია და მტერს შესაძრნევი ზარალი მიეყენეთ.

ბალკანეთი.

სოლუნი, 13 მაისი. გუშინ და დღეს ფრონტის საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა.

ახალი ამბავი.

ქუთ. მეღვინეთა და მიკიტანთა საყურადღებოთ. 20 მაისს საღამოს 7 საათზე ქუთაისის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია თათბირი, რომლის მიზანიც არის, მეღვინეთა, ღვინით მოვაჭრეთა, და მიკიტანთა შორის კავშირის დაარსება, საკუთარ მამასახლისის ამორჩევა და სხვა საკითხების განხილვა.

— **სასურსათო** საქმე. ქუთაისის სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან ფქვილი პურის-ცხობელთ კვირაში მხოლოდ ორჯერ მიეცემათ.

— სასურსათო კომიტეტი მოუწოდებს ქუთაისის მცხოვრებთ, პური რაც შეიძლება, მომეჭნეობით იხმარონ, რადგან ფქვილი ქალაქს ძლიერ ცოტა აქვს.

— სამთო უბნის **სასურ.** კომიტეტიდან ქალ. კომიტეტში წარმომადგენელთა აირჩიეს გმელიძე და ოგანეზოვი.

✦ სასურსათო კომიტეტის დადგენილებით დაიკეტა ბუბლიკების ცხობელი დუქნები.

✦ **ავადმყოფობანი.** 8 მაისიდან 16 მაისამდე ქუთაისში ავად გახდა ტიფით 6, მორჩა 3, გარდაიცვალა 3; მუცელათი 3, მოკვდა 1. ქუნთრუშით 4, განიკურნა 2, ყვავილით 8, მორჩა 3, გადამდები ტიფით 4, მოკვდა 1.

— **ყულაბებით ფფლის შეკრება.** ქუთ. ბავშოთვის მზრუნველ საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ, რომელიც 12 მაისს უნდა მომზდარიყო გადაიდვა 19-საათის. ვინც მონაწილეობას იღებს ყულაბებით ფფლის შეკრებაში, სთხოვენ მობრძანდენ ყულაბების მისაღებად 18 მაისს საღამოს 6-საათზე სამიწოდმომქმედო ბანკში საკათედრო ტაძრის (სობოროს) პირდაპირ.

✦ **ჯანდარმერიის სამმართველოს ქალდები** ბ. გობეჩიაძ აღმ. კომიტეტში კითხვა აღძრა, რათა ძველ ჟანდარმთა სამმართველოს ქაღალდები ბინიდან საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში გადმოტანათ განსახილველად.

აღმ. კომიტეტმა დაადგინა ჟანდარმთა საბუთები გადატანილ იქმნას ქალაქის ქალთა სკოლაში, გენერლის ქუჩაზე.

✦ ვ. ანთაანაშ აღ. კომიტეტში საჩივარი შეიტანა, რომ მექვენის აღმ. კომიტეტის არჩევანი კანონიერად არ მომდარა და გთუქმებულ უნდა იქმნასო. აღმ. კომიტ. საჩივრის განხილვა გადასდო.

✦ ბ. ს. **წერეთელმ** აღმ. კომიტეტში განცხადება შეიტანა, რათა ქალაქის კომისარის აღ. აღ. ლალიძისადგილზე, რომელმაც თანამდებობას თავი დანებება და ნაბრძანებულ იქმნას დ. ბერეკაძი. ეს წინადადება აღმ. კომიტეტმა მიიღო.

✦ ზუგდიდის ხარკის ამკრეფ ინსპექტორ ად. ანარეულიანს კომიტეტმა დასტოვა მარტოდ.

✦ ონის კომისარი ნადარეიშ აუწყებს ქ. აღმ. კომიტეტს, რომ ვერ ეფიქრენენ ნარჩევნებ ონის ნაბრძანებ ქუთაისის გუბერნიის საარჩევნო ინსტრუქციაში. ახლა კი ონის კომიტეტს ამიერ კავკასიის კომიტეტისგან ახალი ინსტრუქცია მოუვიდა, რომელიც ხელახლად არჩევნების მოხდენას მოითხოვს. აღმასრულებელმა კომიტეტმა ონის კომისარს უპასუხა, რომ არჩევნები კანონიერია და საჭირო ალარ არის ხელ-ახალი არჩევნის მოხდენა.

✦ **კომისარი აკაკი ჩხენკელი და ეროვნული კითხვა** კომისარ ა. ჩხენკელის განკარგულებით, მასთან უნდა შესდგეს საგანგებო სათათბირო, რომელიც გამოარკვევს და ასე თუ ისე გადასწყვეტს ამიერ კავკასიის ეროვნებათა შორის სადავო საკითხებს. ამ სათათბიროში წევრებად შედიან: ვ. ფურული, ექ. სულთანოვი, ს. არუთინოვი და თითო წარმომადგენელი სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებისაგან. ეს 5 კაცი თავიანთ შეხედულებით კიდევ მიიწვევენ სრულის უფლებით ორ კაცს.

— **სამდღეველობის დარბევა იმერეთში.** ამ ჟამად იმერეთის სხვა და სხვა სოფლებში ხალხი მლვდლებს ატყობენ. დატუსაღებულებს სტყვეთ და მოქმედებით შეურაკცყოს აყენებენ და შემდეგ ქუთაისში ჰგზავნიან. ამის შესახებ იმერეთის სამღვდელოება სთხოვს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ დაუყოვნებლივ გამოსცეს განკარგულება, რათა ბოლო მოეღოს ამ საზიზღარ მოვლენას და არავის ნება არ მისცეს აღმასრულებელ კომიტეტის დაუდგენლად სამღვდელო პირების დეზენა. ამასთანავე თხოულობენ, რომ შეეპყრობილ სამღვდელო პირებს საშუალება მისცენ თავის გამართლებისა. ქუთაისის აღმ. კომიტეტმა იმერეთის სამღვდელოება სავსებით დაიკმაყოფილა და ბრძანება გასცა, რომ კერძო პირის ჩაგონებით ვისმე დაპატიჟრება აკრძალულიაო. ხოლო, თუ რომელიმე სამღვდელო პირი კონტრევოლუციას ემსახურება, მაშინ იგი უნდა დაატუსაღონ, ხოლო ფიზიკური შეურაკცყოფის მიყენება სასტიკად აკრძალულიაო.

— შაბათს, 20 მაისს, ქალაქის თეატრში ქუთაისის მუშათა ბეჭედიანი საქმის კაენრის ნივთიერ საღსრის გასაძლიერებლად გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო.

— **მეპურეთა და მუშებს შორის** ჯერჯერობით მორიგება ვერ მოხერხდა. მუშების მიერ წამოყენებული ეკონომიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მეპურეებმა შეუძლებლად აღიარეს.

— **მომრიგებელი კამერა,** ქუთაისის მწარმოებლებმა და ვაჭრებმა თანხმობა განაცხადეს მომრიგებელ კამერაში, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა შესდგეს ქუთაისში, იყოლიონ თავისი წარმოდგენლები.

— **მეეტლეთა გაფიცვა,** 16 მაისიდან ქალაქში ყველა მეეტლე აღარ მუშაობს. ისინი ნიხრის მომატებას თხოულობენ.

თბილისი.

✦ **იარაღის აყრა.** მაისის 12, სასახლეში მოხდა ამიერ კავკასიის კომიტეტის ს ა განგებო კრება. კრებაზე მსჯელობა იყო იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიაში ძალი ერ გავრცელდა თავდასხმა და აჯანყობაო ამის გამო კრებამ დაადგინა ებრძანოს ადგილობრივ მთავრობებს, რომ ხალხს იარაღი ჩამოერთვას და ამითბოლო მოეღოს აჯანყობის ამ საშინელ სენს.

✦ **ზემგორას თავმჯდომარედ** ერთხმად ისევ კ. ნ. აფხაზი აირჩიეს, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად ა, ი. ხატისოვი

✦ **გენ. მდივანი,** რომელიც დანიშნული იყო სამხედრო ოლქის უფროსად ამიერ-კავკასიის თავრობის მიერ რევოლუციონური ორგანოების თანხმობით და რეკომენდაციით. დროებითმა თავრობამ არ დაამტკიცა და თავის ნებით დანიშნა გენ ალერანოვი. საჭიროა მხარი დაუჭიროთ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, თუ ის კვლავ გადასდგამს ნაბიჯს, რომ მდივანი დარჩეს ამ თანამდებობაზე. ყურადღების მიუქცევლობა ადგილობრივი ორგანოების დადგენილებისადმი და ზეცხან დანიშვნა ძველ ბიუროკრატიულ ყო

ბილებას გვაგონებს, საჭიროა ამას ბოლო მოეღოს. მუშათა საბჭომ დაადგინა: სთხოვოს ამიერ-კავკასიის განს. კომიტეტს შეეკითხოს დროებითი მთავრობას და გაიგოს რა მოტივებით ხელმძღვანელობდა იგი, როცა ავერიანოვს ნიშნავდა.

✦ წარმომადგენლების არჩევა ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საზოგადოების წარმომადგენლებად გაიმეორეს და ომისაგან დაზარალებულთა საბჭოში აირჩია: მ. ვ. მაჩაბელი, პ. ა. გოთუა, პარ. კახიანი, გ. ცინცაძე და გ. ბ. გვაზავა.

✦ სამეცნიერო ექსპედიცია. თბილისში არსდება სამეცნიერო წრე, რომელსაც აზრად აქვს ლაზისტანი დაიაროს და მეცნიერულად შეისწავლოს. პირველი კრება ექსპედიციის წევრებს ეწერებათ ხუთშაბათს, მაისის 18-ს. საღამოს 8 საათზე, პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ვისაც ექსპედიციაში ჩაწერა სურს, კრებაზე უნდა გამოცხადდეს.

✦ ქართულ პიესების საცენზურო არქივიდან ზამოტანა. ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭომ სთხოვა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს: რადგან ამ რამდენიმე წლის წინად ცეკხლმა განადგურა ქართული თეატრის ბიბლიოთეკა, განკარგულება მოახდინეთ, რომ თბილისის საცენზურო კომიტეტის არქივიდან მოგვცენ ხელნაწერი და დაბეჭდილი ქართული პიესებიო. კომიტეტმა დაადგინა, რომ ყველა ქართული პიესები, ხელნაწერიც და დაბეჭდილიც, საცენზურო კომიტეტის არქივიდან მიეცეს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

✦ პროვოკატორი. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის ორდერით თბილისის მილიციის უფროსმა ი. კაჩუბაშვილმა დაუპატიმრა სოც.-დემოკრატიის პარტიის წევრი ნ. დ. მეჭაღე, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ცნობებს აწვდიდა თურმე ეანდარმერიას სოც.-დემოკრატიის პარტიის შესახებ.

✦ ახალი პიესა. შალვა დადიანმა დასწერა 1905 წელს სარევოლუციო შინაარსის პიესა, „მოვიმეში“. ამა მაისის ბოლო რიცხვებში ამ პიესას თბილისის სცენაზე დასდგამენ.

✦ ფრონტის სიზდის ქართველ დელეგატთა კრებამ იკონია მსჯელობა ნაციონალისტების მიერ დაარსებულ ქართველ მხედართა კავშირზე და სცნო დღევანდელ პირობებში ასეთი კავშირის არსებობა შედეგების მხრით მავნებელად. აირჩიეს ოთხი კაცისაგან შემდგარი კომისია კავშირის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლათ.

✦ ახლო მომავალში საგუბერნიო სასოფლო კომისია გამოსცემს ყოველ კვირეულ საკანონო ქართველ გაზეთს.

— ბერძენთა კრება. თბილისში ამ ღამად ყრილობაა გამართული ამიერ კავკასიაში მცხოვრებ ბერძენთა დელეგატებისა. მოწაწილეობს 52 დელეგატი, მათ შორის რამდენიმე მუდელი. ჯერ-ჯერობით ყრილობამ დაადგინა სთხოვოს დროებითი მთავრობას, რომ აღდგენილ იქმნას ბერძენთა არქიეპისკოპოზის კათედრა და ბერძენთა ეკლესია თავის შინაურ საქმეებში სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი იყვეს, ხოლო სანამ ეს მოთხოვნილება განხორციელდმოდეს, ბერძენთა ეკლესია ექვემდებარებოდეს რუს არქიეპისკოპოსს.

— დახმარება სომეხთა სოფლებებს, სომეხთა ცენტრალ კომიტეტს დაუნიგბია სოფლელებისათვის საფასლად ალაშკერთის ხეობაში 8 ათასი ფუთი ხორბალი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დაურიგებია 13 ათასი ფუთი ხორბალი და 250 გუთანი.

— ერევანში გადადება. ამიერ კავკასიის ლეგხთა დელეგატების საოლქო ყრილობა მაისის 20-დან თიბათვის 20-სათვის გადაიდო.

— შუშათა და საქმის პატრონთა ერთმანეთთან მოსარგებლად ამიერ კავკასიის კომისარიატ ბაქოში გზავნის პირველ სათათბიროს დეპუტატს ის. რამიშვილს, ხოლო შავი ზღვის რკინის გზაზე —ბენ. ჩხიკვიშვილს.

— ჩხენკელის სახელით სარგებლობა. თელავის მაზრაში ვიღაც დადის თურმე და ხალხს რაღაც ქადაღლზე ხელს აწერინებს. თან ეუბნება, მე სოციალისტი ვარ ჩხენკელიო.

გარდამავალი ხანა.

ხალხთა ცხოვრებაში არის მრისხანე ეპოქა, როს ყოველივე არსებული სახეს იცვლის, ცხოვრება ნორმალ კალაპოტიდან ამოდის ფოროიქდება და დუღილს იწყებს. ბისაარკმა სთქვა, ასეთ დროს ქვეყანას სჭირია ზენიკის გიგანტურ ენერგიით და საერთო ავტორიტეტით მოსილი ადამიანები, რომ მათ ყოველ მოვლენას ღირსეული პასუხი გასცენ და ქვეყნის არსებობა დაიცვანო. რუსეთის ცხოვრებაშიც ამ ეამად მრისხანე ეპოქაა. სახელმწიფოს მდგომარეობა ყოველ წხრივ შეინძრა და უდიდეს ცვლილებების განცდაშია. რევოლუციამ ახალ ხანაში შეიყვანა. პირველი აღფრთოვანება მინელდა და ახლა მომენტმა ამშენებლობა —შემოქმედება მოითხოვა.

მართალია რუსეთის რევოლუციას საერთო სახალხო ეწოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, თვით რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა დაქსაქსვა ძლიერ ადრე დაიწყო. დღეს რევოლუციას ზურგს არ უმაგრებს ის ძლიერი საერთო თანამშრომლობა, რომელიც მარტის პირველ დღეებში წარმოიშვა. რევოლუციური ძალები გაითიშენ.

დროებითი მთავრობა კოალიციურმა სამინისტრომ შესცვალა, რომლის უმრავლესობას სოციალისტები შეადგენენ. კოალიციურ სამინისტროს ყველა არ სთვლის ისედ ძალად, რომელსაც შეეძლოს სახელმწიფოს ძნელი მდგომარეობიდან გამოყვანა.

კადეტთა გაზ. „რეჩი“ ამბობს: „დღევანდელი მინისტრები სრულიადაც არ არიან საერთო ნდობით მოსილი, და ფართე საზოგადოება მათ არ იცნობსო.“ ეს შენიშვნა, რაოდენადმე მაინც, სამართლიანია, რადგან დღევანდელ მოამენტს მხოლოდ და მხოლოდ საერთო ნდობა-პატივისცემით აღქურვილი პირები უშველიან.

საჭიროა, რომ მმართველი ყველამ იცნოს, მისი ნათქვამი გაიგონოს და, ვინც სინდისიერად პატივს არ სცემს, შიშით მაინც დაემორჩილოს. ჯერ ხანობით ამას ვერ ვხედავთ რუსეთის რევოლუციაში. აქ ყველამ ანარქიული ინსტიქტი გამოააშკარავა. ჯარი თავისას აკეთებს, გლეხობა დამოუკიდებლად სჭრის დიდ კითხვებს და კაპიტალისტები სრულიად ანგარიშს არ უწევენ სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობას. გუჩკოვის წასვლითო ამბობს „ტრუდოვიკების“ გაზ. „დენი“, რევოლუციას შორდება ფინანსიურად შეძლებული კლასებიო. ეს მეტად დიდი დანაკლისია.

რუსეთის ნივთიერი მხარე ამ ეამად საგრძნობლად ჩამოქვეითებულია. მარტო ომის ხარჯები დღეში 40 მილიონ მანეთს თხოულობენ და ასეთ დროს რევოლუციურ ძალთაგან ნივთიერად ძლიერ კლასთა ჩომაცილება მეტად არა სასურველია. ოსმალეთისა და სპარსეთის რევოლუცია, სხვათა შორის, ფინანსსურამა კრიზისაც დაღუპა. სპარსეთში რევოლუციელ სათარხანის ჯარი, როდესაც მას მოშიედა გადმოვიდა მაჰმედალის ჯარში და რევოლუციის წინააღმდეგ მოაბრუნა მახვილი.

რუსეთში მშრომელ მასის უმრავლესობა ბრძოლის ველად არის. მათი ცოლშვილი საშინელ კრიზისს განიცდის. ვინ იცის, რას არ მოითხოვს დღეს იგი! ხალხის ყოველი მოთხოვნა ვერ გამოდგება თანამედროვე მდგომარეობისთვის შესაფერი და სასურველი.

ხალხის სამართლიანი სურვილები საერთო სახელმწიფო ინტერესთან შეთანხმებით უნდა სწყდებოდეს. საქმე ის კი არ არის, რომ ხალხმა ესა თუ ის მოთხოვნილება წამოაყენოს, არამედ ის, თუ რამდენად შეფარდებულია ხსენებული მოთხოვნილება არსებულ პირობებთან და რამდენად შესაძლოა მათი ცხოვრებაში გატარება. რუსეთის რევოლუცია მეტად ცუდ დროში დაიწყო. პეტროგრადში ფიფილი დროშა იმ დროს აღმართა და საერთაშორისო ძმობა ერთობის ხმა მაშინ გაისმა, როდესაც განათლებული ევროპა სასტიკ სისხლის ღვრას აწარმოებს. რევოლუციამ მაღალი პრინციპები წამოაყენა და მთელ ქვეყანას სისხლის ღვრის შესაწყვეტად და ძველ წესწყობილებათა დასამსხვრევად მოუწოდა, მაგრამ ამ მოწოდებამ ჯერ-ჯერობით შესამჩნევი ნაყოფი ვერა და ვერ გამოიღო. რუსული პრესის თქმის არ იყოს, რევოლუცია შეკვეთით არსად მოხდება. გერმანეთი, თუ სხვა სახელმწიფონი მაშინ შეუდგებიან ძველ ცხოვრების დათრგუნვას, როცა ამისათვის საკუთარი დრო დაუდგებათ. ამ რიგად რუსეთის რევოლუციას საკუთარი საქმე აქვს, საკუთარი თავის მოვლა სჭირია.

ომი თუმცა ძველმა მთავრობამ დაიწყო, მაგრამ იგი ისეც ომად რჩება და მტერი მტრად, რომელსაც პასუხის გაცემა უნდა. დღეს კი შენელდა ბრძოლის ველებზე მოქმედება და ჯარი რევოლუციის სიხარულით გატაცებული „დამიანური სათნოებას“ აცხადებს და გერმანეთის ჯარისაცებთან შეგობრულ ურთიერთობას იჩვენს. ეს, არ შეიძლება, რომ ასე არ მომხდარიყო.

სამი წელია პიროვნება წარამეული ჯარის კაცი მშიერ-მწყურვალე თხრილში ზის და კი არ იკის, თუ რისთვის იბრძვის, რა მიზნისთვის იწირება.

რუსეთის მდგომარეობა გართულდა, მისი მართვა-გამგეობის საქმე მეტად გაძნელდა. როგორც ზემოდ ვსთქვით, რუსეთის სახელმწიფოს ხომალდს დღეს დიდათ გამოცდილი, საზოგადო ნდობით, გავლენით და ნიჭით აღქურვილი მესაჭეები ეპირვება, როგორიც რევოლუციურ ცას ჯერ არ მოუელენია.

ირ - დი.

„ჩვენი თავისუფლება“.

იმ წმინდა აზრს და იმ ტკბილ შინაარსს
სიყრმისთვე ტრფობით თავს ვევლებოდი.—
გვირგვინებს ვწნავდი, არაკებს ვთხზავდი
და ქებათ-ქებას ვეუბნებოდი.

და წამების დროს, იმ მონობის დროს
იმით ვცოცხლობდი და ვსულდგმულობდი
და ხშირათ სადმე მალულ ფარულათ
მისთვის უმეთარათ ვმოკვიქულობდი.

დღეს, აღდგომის ეამს, მიემართე ჩვენს ხალხს,
რომ „ბეღნიერათ“ მემახარობლა
და თან ამბავიც მეთქვა იმისი,
ვინც ჩვენ დაგვტანჯა და დაგვობლა.

„გაბუტვით“ შემხვდა მაშრალთა კრება,
მომატყანა, მომაცალხანა:
„შენ ბატონ-ყმობა მოგაქვს ჩვენთვისო“ —
და „ძარს“ ყვირილიც არ დაეხანა.

იქვე კი კუდა-აზნაურები—
რადგან უჭირდათ ცოდნა და ჭკუა,
იმ „საამო“ ხმის გაგონებაზე
ილიმებოდენ ულვაშებს შუა!..

მარტოკა დავრჩი, ვით „ავაზაკი“
და მოღალატე მრავლის შემცოდე,
რომ ბატონ-ყმობა თავადს „ეახარე“
და გლეხს კი გული მით „დავუკოდე“!..

პირი ვიბრუნე შეძარწუნებულმა,
ბნელეთის ლანდი კვალდაკვალ მდევდა
და, სამშვიდობოს რომ გამოვედი,
მაშინ მწარეთ ვთქვი: „ეჰ, ვაი დედა!..

ვინ იყო იგი ბოროტი სული,
ის შავი ჭირი და ბნელი ძალა,
რომ ვანთიადზე ტანჯულს ყელში სწვდა
და სულის მოთქმაც აღარ აცალა!..

ჩემის ღვთაების წმინდა სახეს კი
კეთროვანება მოჰფინა წყლულათ
და გაეშურა დაბათ და სოფლათ
კვლავ ბნელი საქმის მხნე მოკიქულათ!..

სულთქმით ვიძახდი გაოგნებული:
„ხალხო ტანჯულო, სთქვი, რის მწადი ხარ?..
მარად ჩაგრულო, მარად დევნილო,
დღეს რას სჩადიხარ, დღეს რას სჩადიხარ!!“.

დ. თომაშვილი.

უკანასკნელი ამბები.

ინგლისური პრესა ალ. კერენსკის შესახებ.

„ტაიმსი“ სწერს:

ალ. კერენსკი მეტად ნიჭიერი სახელმწიფო კაცია, მას შეუძლიან ადორიაქებული დროში ქვეყანა იხსნას. იგი რუსეთს თავისუფლების გარიბალდათ ეყენება. კერენსკი ახალი სკოლის მინისტრია, რომელიც ხალხს ნდობით არის აღქურვილი და სახელმწიფოს დემოკრატიზაციას ახდენს. თქმა არ უნდა რუსის ლაშქრობა დიდ პატივს სცემს სახალხო მინისტრს და დღემდის, თუ რამე გაუგებრობით ჯარში დისციპლინა შეფერხდა, დღეიდან ისეე ამაღლდებაო.

სუხომლინოვის და სხვათა საქმე.

კოალიციურ მთავრობის დადგენილებით სუხომლინოვის, ვირუბოვის ქალის და სხვათა საქმეს განიხილავს ნაფიც მოსამართლეთა კრებული და არა მარტო სენატორები როგორც ეს ძველი რეჟიმის დროს ხდებოდა.

პეტროგრადის მუშ. და ჯარისკ. დეპუტატების საბჭოს რეორგანიზაცია.

ამ ეამად პეტროგრადის მუშათა და ჯარისაკცთა საბჭოში წევრებად შევიდენ გლეხთა წარმომადგენლები. ამის გამო მუშათა და ჯარისაკცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა ამ რევოლუციურ ორგანოს სახელი შეუცვალოს და დაარქვას მუშათა, გლეხთა და ჯარისაკთა დეპუტატების საბჭო.

რასპუტინის ოინები.

პეტროგრადში შეუდგენ გრ. რასპუტინის „მოღვაწეობის“ განხილვას. ნევის საყდარში ბევრი ბნელი საბუთი აღმოაჩინეს რასპუტინს დამოკიდებულება ჰქონია თითქმის ყველა მონასტრის მონაზონ ქალებთან. აგრეთვე ამბობენ, რომ რასპუტინი და პიტირიმი მეგობრები იყვენენ.

რუსეთის ტრაგიზმი

„ნოვოე ვრემია“ სწერს: რუსეთი საში ნელობას განიცდის. თუ დღეკანდელი ყოფა გაგრძელდა, მაშინ რუსეთი იძულებული იქნება ისეთი საზავო პირობა მიიღოს, როგორც მას პრუსიის იმპერიალისტ მილიტარისტები უკარნახებენენ, რუსეთი გადი ქცევა გერმანეთის საჯიჯინ ახალშენად. ეს უნდა იქმნეს დროზე შეგნებული თორემ როდესაც მონობაში ამოყრაგათ თავს მაშინ თითებზე კბენანი გვიან იქნება.

ჩჩეგლოვიტოვი ბრალდებას დებულობს.

პეტრო-პავლეს სატუსაღო ციხეში მყოფმა ჩჩეგლოვიტოვმა გამომძიებელ კომისიას განუცხადა. მე ყველაფერში დამნაშავე ვარ და აწი მხოლოდ სასჯელს მოველოო.

ბ ა ზ ი ნ ი.

პეტროგრადის სახეიდრო სამრეწველოს ზოგიერთ ქარხნებში გაფიცვა დაიწყო.

ეროვნული პრესა.

ფინეთ-რუსეთის დამოკიდებულება.

„ბირჟ. ვედ.“ სწერს: „ფინეთი ამ ბოლო ხანს აწკარად სრული დამოუკიდებლობაზე ოცნებობს. დღეს იგი სრულიად არ უწევს ანგარიშს რუსეთის სახელმწიფურ მოთხოვნილებას და სურს ყველაფერში ტენდენცია შეიტანოს. ეს სხვათაშორის ნათლად გამოიხატა ფინეთის სეიმის სხდომაზე, სადაც ერთმა დეპუტატმა სთქვა: „რუსეთის უფლებრივი და მოქალაქეობრივი გათანასწორება ფინეთში მეორე რიგის კითხვაა და მას ფინეთისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვსო.“

რუსეთის რევოლუციამ ფინეთს აღუდგინა კონსტიტუცია. ის ნაყოფი, რომლითაც დღეს ფინეთი სულდგმულობს, დროებითმა მთავრობამ აიკრძალა და რა უნდა მეეწეროს ასეთ დიდ სიკეთის შემდეგ ფინეთის რუსეთისადმი შეუფერებელი განწყობილებაზე? დროებითი მთავრობა [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ვიდეთ. არამედ უნდა შეებრძოლოს მის უარყოფით მხარეებს. უკანასკნელად ისაუბრა ბ. ოს. მაჰავარიანმა. მან დასკვნა წარმოთქმული სიტყვები და გამოსთქვა სურვილი, რომ ჩვენში მოქმედი პოლიტიკური პარტიები გამოარკვევენ საერთო პლატფორმას საქართველოს მომავალი სახის შესახებ. ორატორმა აღნიშნა, თუ რისთვის მოითხოვს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ისტორიული ფარგლებიან განსაზღვრას მომავალში. დასასრულ ორატორმა სთქვა, რომ საქართველომ უნდა მიიღოს თავისუფლება, რომლის მოსპობა ვერ შესძლო მასში ასი წლის მონობამ და დევნამ.

სამარცხვინოა, რომ ილიასა და აკაკის მშობელი ერი არ იყოს თავისუფალი. ჩვენ ეხლა მსოფლიოს წინაშე წავდექით. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ მზათ ვართ ამ თავისუფლების მისაღებად.

საჭიროა მეტი სიფიცხე და დაკვირვება რომ მომავალში ისტორიამ „ფურთხის" ღირსი არ გაგვხადოს.

საზოგადოება მოხსენებებით ძლიერ კმაყოფილი დარჩა, რაკა არა ერთხელ მხურვალე ტაშით აღნიშნა. დიდ მადლობას ვუძღვნით პატივცემულ ორატორებს. სასურველია ჩვენში მათი ხშირი სტუმრობა მით უმეტეს, რომ მათ მოძღვრების დიდი ნიადაგი აქვს როგორც, ყველგან, ისე ჭიათურაშიც.

გბოო ოთხმეზური.

დ. ახალ-სენაკი. რევოლუციის პირველ დღიდანვე ახალ-სენაკში დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია. მიუხედავად ყოველგვარი გარეშე დამაბრკოლებელ მიზეზებისა ორგანიზაციის ენერგიული მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა. რამდენად ახლოს ვართ ჩვენ ხალხის სურვილებთან და რამდენად რეალურია ვეფხი მოძღვრება, ეს ნათლად დაგვანახა ამ მოკლე ხნის მოღვაწეობამ: სადაც კი მივსწვდით და სადაც კი შევახეხეთ ჩვენი გულისთქმანი გამომეფურება ყველგან მტაცე ნიადაგი ვპოვეთ. მართო ის გარემოება, რომ რევოლუციის დაწყებამდე ჩვენი პარტიის ჰაეროვანებაც კი არ ყოფილა სენაკის ზეზარაში და დღეს კი სამასამდე თავგამოდებული წევრი გვყავს ქალაქის მცხოვრებთა შორის, მრავალ რამეს გვეუბნება. 11 მაისს აქ შესდგა პარტიული კრება. თავმჯდომარეობდა მ. ლეშიჩავა, რომელმაც კრებას მოკლე სიტყვით განუმარტა ჩვენი პარტიის გამოსვლის ისტორია. შემდეგ პროგრამულ საკითხებზე მთელი ორი საათის განმავლობაში ილაპარაკა სპირიდონ კედიამ. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა ჩვენსა და სოციალისტებს შორის არსებული ძირითადი განსასხვავებელი პრინციპები.

კრება საოცარი ყურადღებით უსმენდა ორატორს. სრულიად კმაყოფილი მრავალრიცხოვანი კრება დაიშალა ღამის თერთმეტ საათზე. აქვე ეპარქიალურ სასწავლებლის დარბაზში პარტიის აქვს საკუთარი პოლიტიკური კლუბი და ბიურო, სადაც ყოველ დღე სწარმოებს სორგანიზაციო მუშაობა და რეგისტრაცია. ყოველ შაბათობით იმართება პროგრამული ლექციები და მოწინააღმდეგე პარტიებთან მშვიდობიანი დებატები. ადგილობრივ სტამბაში ორგანიზაციამ დაბეჭდა ორი ათასი ცალი ვ. წერეთლის წიგნაკი მიწის საკითხზე.

ძალდეველი.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციები.

კონფერენცია გაიმართა თბილისში, დაიწყო 7 მაისს და დასრულდა 12 მაისს.

მოგვყავს კონფერენციაზე მიღებული უმთავრესი რეზოლუციები:

თანამედროვე მომენტი და პარტიის ტაქტიკა.

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისთა სარევოლუციო პარტიის კონფერენციამ მიიღო რა მხედველობაში: რომ 1. რუსეთის დღევანდელმა რევოლუციამ უნდა სრულიად გარდაქმნას პოლიტიკური წესწყობილება დემოკრატიულ საფუძველზე 2. რომ ახალმა სახელმწიფოებრივმა წესწყობილებამ უნდა მოსპოს ეროვნული ჩაგვრა და გარდაქმნას რუსეთი თავისუფალ ერთა კავშირის სახელმწიფოდ (დემოკრატიულ-ფედერატიული რესპუბლიკა) და 3) რომ სრული დემოკრატიული წესწყობილების აგება გულისხმობს აგრეთვე მიწისა და მუშათა საკითხის გადაწყვეტას. ჩვენი პარტიის მინიმუმ პროგრამის მიხედვით (მიწის გადაცემა შშრომელ ხალხის ხელში სოციალიზაციის სახით, რვა საათის სამუშაო დღე და საერთოდ მუშათა სოციალურ კანონ-მდებლობის გაფართოება). საჭიროდ სთვლის: 1. მზარი დაუჭიროს დღევანდელს საკოალიციო მთავრობას იმ დრამდე, სანამ იგი მიისწრაფის აღნიშნულ პრინციპების ცხოვრებაში გატარებისაკენ და სდგას რევოლუციურ დემოკრატიის უმაღლეს ორგანოების-მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების-კონტროლის ქვეშ, 2. გაიღრმაოს რევოლუცია, დარაზმოს შშრომელი გლეხობა და პროლეტარიატი, რათა, თუ დრო და საჭიროება მოითხოვს, მხოლოდ ამ დემოკრატიულმა ელემენტებმა ჩაიგდონ ხელში მთელი უფლება ცენტრში და ადგილობრივ, 3. კერძოდ საქართველოს ავტონომიის განსახორციელებლად შეეთანხმოს ყველა ქართველ რევოლუციური პარტია და თავს იდვას საერთვნო კრების მოწვევა, შეუთანხმდეს კავკასიის სხვა ერებსაც, რისთვისაც მოითხოვს კავკასიის ერთა წარმომადგენლების ყრილობის მოწყობას, 4. ახლავე განახორციელოს დემოკრატიზაცია და ნაციონალიზაცია ადგილობრივ მმართველებისა, ადგილობრივ თვითმართველობისა, სკოლისა და სასამართლოსი და 5. მოითხოვოს, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, საყოველთაო განურჩეველად სქესისა, პირდაპირი, თანასწორ, ფარული და პროპორციულის კენჭის ყრით".

აგრარული საკითხი.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისთა სარევოლუციო პარტიის კონფერენცია აღიარებს თავის შეურუყეველ რწმენას, რომ აგრარულის საკითხის რადიკალურად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მიწის სოციალიზაციის სახით.

ჩამორთმეცა სათანადო მამულებისა უნდა მოხდეს ორგანიზაციულად და მწყობრად ადგილობრივ შეკავშირებულ რევოლუციურ ორგანოების საშუალებით, ხოლო თვით სოციალიზაციას მოაწესრიგებს და საბოლოოოდ განამტკიცებს საქართველოში სიქართველოს დამფუძნებელი კრება თანახმად სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულის ძირითად დებულებისა.

ვიდრე ეს ძირითადი და აუცილებელი დებულება განხორციელდებოდეს, კონფერენციას, სოფლად ყოველგვარ არეულ-დარეულ ასაცდენად, რაიც რევოლუციის მსვლელობას შეაფერხებს,—საჭიროდ მიჩნია;

1. ახლავე სახაზინო, საუფლისწულო და საეკლესიო-სამონასტრო მიწები გადაიდეს დასაკავად რევოლუციონურ ორგანოების ხელში (საგუბერნიო და ადგილობრივი კომიტეტების და მიწის მუშათა საბჭოები).

ამ ადგილებში სოფლებმა უფასოდ უნდა ისარგებლონ საძოვრით და ტყის მასალაც უფასოდ უნდა მიეცეს ყველას საკუთარის საჭიროებისათვის,

2 ახლავე უნდა აიკრძალოს მამულების ყიდვა გაყიდვა და დაგროვება, ან მემკვიდრეობით გადაცემა.

3 ახლავე უნდა მოისპოს საქართველოში 1912 წლის კანონის ძალით ხაზინის სასარგებლოდ დაწესებული გადასახადები ყოველ დროებით ვალდებულ გლეხზე.

4. ახლავე დაარსდეს მიწის მუშათა საბჭოები და მათი კავშირი ადგილობრივ მიწის, ტყის, წყლის, ხიზნობის, ოჯარის, ღალის და საერთოდ ყოველგვარ აგრარულ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

5) წინადადება მიეცეს დროებითს რევოლუციურ ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობას, დაუყონებლივ დაარსებულ იქმნას სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტები მიწის მფლობელობისა და მიწათმოქმედების ყოველმხრივ გამოსარკვევად და საჭირო მასალების დასამზადებლად. ამ კომიტეტებში საკმაო წარმომადგენელნი უნდა ჰყავდეს იმ პარტიებს, რომელნიც იხიარებენ მიწის სოციალიზაციის თვალსაზრისს.

6) სოც.-ფედ. სარევოლუციო პარტიის კონფერენცია მიმართავს ოფიციალურის მოწოდებით ყველა სოციალისტურ პარტიას და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, მხარი დაუჭირონ ამ მოთხოვნილებებს, რომ დროებითმა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები და გამოსცეს შესაფერი დეკრეტები.

დასასრულ კონფერენცია საჭიროდ სცნობს მიწის სოციალიზაციის განსახორციელებლად საქართველოს მიწათ-მფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფექტიურ ცნობების წინასწარ შემზადებას, რისთვისაც ახლავე უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სექცია პარტიის მთავარ კომიტეტთან".

(გაგრძელება იქნება)

მოწოდება სახალხო მასწავლებლებს.

დიდი ხანია ველოდით და მოლოდინი დღეს აგვისრულდა ეს წელზე მეტია მას შემდეგ, რაც ძველი რეჟიმის მეოხებით საქართველოს ეროვნული უფლებები ფეხ ქვეშ ითელებოდა. ამ ხნის განმავლობაში მთელი მისი (საქართველოსი) არსებობა წარმოადგენდა სულიერ ბრძოლას, რომლის უმთავრესი მიზანი იყო აღდგენა და განმტკიცება ქართველ ერში ყველასგან დაგმობილ ქართული ენისა, რომელსაც ეგრე უწყალოდ სდევნიდენ ყველგან; მეტადრე სასწავლებლებში.

ყველამ კარგად იცის, თუ რას წარმოადგენდა ბედგავარების გზაზე მდგომი პირველ დაწყებითი სასწავლებლები ჩვენში, რომლის წყალობით ეხშობოდა ჩვენს მოზარდ თაობას სწავლის სურვილი დღიდან მისი სასწავლებელში მიბარებისა. მაგრამ დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. ძველისა და ყველისავან უარყოფილ რეჟიმის დამზობასთან ერთად ჩვენს სახალხო სკოლებშიაც მიაშუქა მომხდარ რევოლუციის მძლავარმა სხივმა, რომლის ერთ უდიდეს ნაყოფად უნდა ჩაითვალოს სახალხო სწავლა-განათლების ეროვნულ ნიადაგზე დაყენება.

ამა წლის ენკენისთვის პირველი რიცხვებიდან სახალხო სკოლებში აღარ განმეორდება ის ბულის მომკვლელი სურათი, რასაც სამართლიანად აღშფოთებაში, მოყავდა ყველა, როგორც მასწავლებელი ისე არა მასწავლებელიც. ეროვნული სკოლა, ეროვნული სწავლა-განათლება, აი რა სპერია დღეს ჩვენს ისედაც ღაბეჩავებულ ქვეყანას და... უეცრივ ბედმა კიდევ გაგვიღიმა. დღეიდან აღარ გვეყოლებიან ის გასპარიან-ვოსტორგოვები, რომელთა მოწამლულმა ატმოსფერამ სავსებით მოიგლო ბოლო სახალხო სკოლებს. დღეს თვითეულს ჩვენგანს სრული უფლება ეძლევა თავისუფლად შეესახოს ფრთები თავის შემოქმედებას. დღე ჩვენი ენერგია ხალხს მოახმარდეს. „სახალხო მასწავლებელი" ეს ერთად ერთი ბურჯი სოფლის კულტურისა. მოვალეობა, რომელიც კისრად აწევს სახალხო მასწავლებელს, მეტად რთულია და ითხოვს დაკვირვებით და ენერგიულ შრომას. გულცხრობა მასწავლებლების მხრივ, რასაც ამდენხანს ხშირად ჰქონდა ადგილი, დღეს მოუტევებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

ვფიქრობთ რა მხედველობაში ამ სასიხარულო მოვლენას, როგორიცაა სკოლების ნაციონალიზაცია, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ბევრი სახალხო მასწავლებელი თითქმის სრულიად მოკლებულია ქართული ენის რიგიანად ცოდნას, რის გამო მათ არ ძალუძთ შესაფერად შეხედენ მომავალ ეროვნულ სკოლას. ამისთვის, ჩვენის ღრმა რწმენით, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ეხლავე დაარსებულ იქმნას მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსები, რომელიც, მათ შესაფერ ცოდნას მისცემს ეროვნულ სკოლაში სამოქმედოდ. კურსები, რასაკვირველია, უნდა დაარსდეს ქუთაისში (დასავლეთ საქ. სახ. მასწ.). მაგრამ ვგონებ, რომ ყველასათვის მისაწდომი ვერ იქმნება მარტო ქუთაისის კურსები. ამისთვის უმჯობესია ყოველ ქალაქსა და დაბებში გაიხსნას ასეთი კურსები, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევენ საერთო პროგრამის მიხედვით კარგად მომზადებული პირნი.

დე! თვითეული ჩვენგანი გულმოდგინეთ შეუდგეს იმ წმინდა მიზნების განხორციელებას, რაიც ბედს სახალხო მასწავლებლისათვის ურგუნებია. ხალხი ბევრს რასმეს გამოელის ჩვენგან და ნუ შეერცხვებიან მათ წინაშე.

მაშ ფხიზლად ამხანაგებო!

ნუ შეურაცხყოფთ ეროვნულ სკოლას რაიც ჩვენს ერთად ერთ სანატრელ სანგნდ გადაქცეულიყო და თან გვახსოვდეს ნ. ბარათაშვილის სიტყვები: „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზ რუნოსო„

იონა საჩინოველი.

იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების პრეგა.

(გაგრძელება, იხ. „ჩვ. ქვ." № 6).

აპრილს 14-ს, კრება იხსნება დილის 9 საათზედ ირჩევა საკითხი სამღვდელო და სამეფდავითნო კანდიტატების არჩევის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ არც ერთი პირი არ იქმნას არჩეული ამ თანამდებობაზედ, თუ 10-12 ოვე მაინც არ დაუყვია რომელიმე მონაზტერში და როგორც საღვთო წერილის კითხვა, აგრეთვე საეკლესიო წესიგი ზედმეწევნით არ ექნება შესწავლილი. ამასთანავე აირჩიეს გამომცდელთა კომისია 5 პირისაგან შემდგარი მღვდელ-მონაზონ ონოფრეს (შუშანია) თავმჯდომარეობით. შემდეგ ისმება დასათხოვ პირთა საკითხი, რამაც დიდი შეხლა შემოხლა გამოიწვია. კრების უმცირესი ნაწილი მოითხოვდა აგეთ პირთა გაძევებას მაგრამ უმეტესი ნაწილი კი ამაში საქმის გამწვავებას ხედავდა და მოითხოვდა საკითხის მოხსნას. მღვდელებს დ. ჩხაიძეს და ვლ. მაჭარაშვილს შეაქვთ წინადადება, რომ, ვინაიდგან ამ დიდებულ მოვლენაში, როდესაც სწყდება, როგორც ჩვენი ეკლესიის, ისე საქართველოს უფლებანი საკითხნი, ამისთანა უბრალო საქმეებზედ გამოკიდება დიდათ ავნებს ამ დიდ საქმეებს, ხოლო ის პირნი, რომლებზედაც სჯა არის, არიან გამოცდილი საეკლესიო საქმეებში და დიდათაც შეგვიძლია გამოვიყენოთ იმათი ცოდნა გამოცდილება ამ დად წუთებში, ამისათვის, კრება ხსნის ამ საკითხს და სხვა საკითხებზე გადადის, რაკა ერთხმათ მიღებული იქმნა, კრება ცოტახანს სწყდება.

კრების განახლებას მღვდ. ვლად. მაჭარაშვილს რიგ გარეშე შემოაქვს წინადადება, რომ ფინანსიალი გაზეთებმა გაუწყეს სასიხარულო ამბავი ექსარქი ოფიციათა ეპ. კირიონისა და არქ. ამბროსის ჩამობრძანება ქ. თბილისში, ამისათვის გაგზავნოს მათ მისალოცი დეპეშა და ეთხოვოს ჩვენის მხრივ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სასურველ მოგვარებაში, რაიც ერთხმათ მიღებულ იქმნა. ამის შემდეგ ირჩევა იმერეთის საეპარქო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა თხოვნა სიძვირის გამო ჯამაგირის ან ერთდროული შემწეობის აღმოჩენის შესახებ. კრება შემწეობის აღმოსაჩენათ სდებს 3,200 მ. შემდეგ ირჩევა საკითხი: ... მღვდელნი, რომელნიც ჩვენი ... ...